ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13240892**
თარიღი:**29/03/2024**

,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში და პირველ პუნქტს დაემატოს, „ჰ^{22}„ და „ჰ^{23}„ პუნქტები შემდეგი რედაქციით:

,,ჰ^{22} ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელი ორალი, მე-2 ქუჩა N10-ში (ს.კ 62.14.60.189), ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - ფართით 119 კვ.მ და მასზე არსებული შენობა ნაგებობა;

ჰ^{23} ქალაქ ახალციხეში, ახალქალაქის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს.კ 62.09.60.1015), ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - ფართით 85კვ.მ.''

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი